ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **დავით ლომიძე**

თანამდებობის დასახელება - **ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''

კომისი(ებ)ის დასახელება

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია;

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2021 წლის 03 დეკემბრიდან 2022წლის 01.11 მდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა 2021 წ.03.12 წლიდან - დან 2022წ. 01.11 - მდე**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა 03.12.2021წ.- 30.10.2022წ.-მდე - 14

საკრებულოს სხდომაზე დასწრება -14

2. **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021 – 2022 წელს:**
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 12, ესწრებოდა 12 სხდომას

მ/შ დროებითი კომისიები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფი (წევრი) სხდომების რაოდენობა -2, დასწრება - 2.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო (თავმჯდომარე), საბჭოს სხდომების რაოდენობა - 3 , ესწრებოდა 3 სხდომას.

3. **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 3 სხდომა**

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3 სხდომა

4. **საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები :**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ;

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ახალციხისმუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ;

5. **ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს -2 დადგენილება:**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის დებულების დამტკიცების შესახებ **-დადგენილება #13;**

-„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - **დადგენილება #34;**

- ახალციხისმუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ - **აღნიშნული საკითხი დამუშავების პროცესშია**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების სამუშაო ჯგუფს წარედგინა 2 კანდიდატი,რომლებიც კომისიის მიერ საპატიო მოქალაქედ იქნა გამოვლენილი.

- **ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 1 განკარგულება.:**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე **25/02/2022 წლის N გ-13.13220565 - განკარგულება;**

6. **საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ **საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის - დადგენილება # 3;**
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" **საკრებულოს 2021 24 დეკემბერი დადგენილება # 7**
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2022 წელში დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე **-საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N გ -13.13213621 განკარგულება;**

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''

საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის - დადგენილება #4;

- გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ - **2021 წლის 28 დეკემბრის N გ -13.13213621 განკარგულება;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის დადგენილება #5**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლისბიუჯეტიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაგაცემის წესის დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 20 იანვრის დადგენილება # 6;**
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „სავანე" (ს/კ 404400689) წესდების დამტკიცების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე, **საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N გ-13.13220567 განკარგულება;**
- ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის დადგენილება #8;**
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითრების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის დადგენილება #9;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე, **საკრებულოს 2022 წლის N 13.13220565 განკარგულება;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის დადგენილება # 12;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე, **საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის განკარგულება # 13.13220562;**
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის N გ-13.13220902 განკარგულება;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის დადგენილება # 20;**
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში-აგარა, გურკელი, ზიკილია, საყუნეთი, წინუბანი(აგარის), ანდა, ანდრიაწმინდა, წყორმა, თისელი, ტყემლანა, ანი, ელიაწმინდა, ჭვინთა, მინაძე, ღრელი, ჭაჭარაქი, საძელი, ხაკი, ზემო სხვილისი, სხვილისი, ივლიტა, მუსხი, ურაველი, ხეოთი, აბათხევი, ნაოხრები, წინუბანი(წყალთბილის), წყალთბილა, ჯულღა, მიქელწმინდა, წირა, წყრუთი - მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე, **საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის განკარგულება N გ-13.13221514;**
- ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩის დასაწყისში არსებული გეოგრაფიული ობიექტისათვის-მოედნისათვის მეფე გიორგი V ბრწყინვალის სახელის მინიჭების შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 14 ივლისის განკარგულება Nგ-13.13221958**

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ, **საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს დადგენილება # 37;**
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პეტიციის საკითხთან დაკავშირებით - ქალაქ ახალციხეში, იაძის ქ.#12-ში მდებარე #4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დემონტაჟისა და ახლის აშენების შესახებ, გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, **საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის მე-9 სხდომის საოქმო ჩანაწერი;**

7. **მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -12 -**

მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე

-მოქალაქეებთან ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა -80

- შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 475

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- სოციალური პრობლემები;
- ინფრასტრუქტურული საკითხები;
- სახნავ-სათესი პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით (მუნიციპალიტეტის სერვისცენტრიდან) სარგებლობისას ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უძრავი ქონების დამისამართების შესახებ

8. **მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

პრობლემური საკითხები, დასმულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან, საკრებულოს წინაშე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და.ა.შ. ზემოთ აღნიშნული საკითხები გადაწყვეტილ იქნა დადებითად, აგრეთვე კუნსულტაცია გაეწია მოქალაქეებს სხვადასხვა ორგანიზეციებთან ურთიერთობისას.

II. **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**

- **თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.**
- 18.01.2022წ. კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციისა და მისი წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ შეხვედრა სოფ.ნაოხრებში მოსახლეობასთან

- არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საზოგადოება ბილიკი" და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET - შეხვედრა 21,22,24 თებერვალს - ,,შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში"
- 20.04.2022წ. საქართველოს NATO-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობა, განვითარების ეტაპები და სარგებელი — შეხვედრა ახალციხეში
- რეგიონული მრგვალი მაგიდა ღია მმართველობა და განახლება ადგილობრივი თვითმმართველობები
- **22.02.2022 წ.** ქალაქ ახალციხის ცენტრალურ პარკში-მესხეთის დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაიმართა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით შემეცნებით-გასართობი ტიპის ღონისძიება - იმუნიზაციისა და ვაქცინოლოგიის ასოციაციის და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებითა და USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტ ,,MEDიატორი
- 21.03.2022წ. ევროპის საბჭოს ღონისძიება ,,სამოქალაქო მონაწილეობის პლატფორმები და პრაქტიკა ადგილობრივ დონეზე - შეხვედრა მიმდინარეობდა zoom -ის პლატფორმით
- საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრა ეტაპობრივად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა -
- 29.04.2022წ. ახალციხე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის ინიციატივას მუნიციპალიტეტის საკრებულოც შეუერთდა,დასუფთავების მასშტაბური აქცია მოეწყო ახალციხეში
- 26 მაისი დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ქალაქ ახალციხეში, აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რეგულარულად ხდება ადგილზე გასვლა არსებული მდგომარეობის გაცნობა და შეფასება;
- 1 ივნისი მოყვარულთა თასი 2022"-ის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი დასრულდა, გამარჯვებულ გუნდებს სიგელები, ბურთები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

- 6 ივნისი სოფელ აწყურის საჯარო სკოლაში სასკოლო მუზეუმი გაიხსნა სახელწოდებით „ჩემი სოფლის მუზეუმი". სკოლის დირექტორმა პროექტი ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში წარმოადგინა, პროექტის მიზანი იყო მოზარდებისათვის თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეროვნული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება.

- 1 ივლისი სახალხო დღესასწაულზე „ახალციხის ციხეზე" სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები გაიმართა, საგამოფენო სივრცეებში ადგილობრივი ხელოვანებისა და ოსტატების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.
- 27 ივლისი სოფელ ხეოთის მაცხოვრებლებს შეხვდრა, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელში ახალი ამბულატორია დავათვალიერეთ, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე კი მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა არსებული საჭიროებების ვიმსჯელეთ;
- 12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ახალციხის ციხეზე" მრავალფეროვანი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებებით აღინიშნა;
- ფონდი „განვითარება და გარემოს" მიერ გაჟღერდა ინიციატივა ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის- 100 000 (ათასი) სხვადასხვა სახეობის ნერგის გადაცემის შესახებ შეხვედრა გაიმართა
- 25 აგვისტო, ქალაქ ახალციხის სასპორტო სკოლაში, ქართულ ჭიდაობაში მიხეილ იაძის სახელობის ტურნირი ჩატარდა.
- 16 სექტემბერს, ახალციხის მუნიციპალიტეტი დასუფთავების კამპანია - „დავასუფთაოთ მსოფლიოს''ფარგლებში აქციას შევუერთდით;
- 20 სექტემბერი ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრა
- 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სათნოების სახლს ვესტუმრეთ და ბენეფიციარები მოვინახულეთ და ხანდაზმულთა დღე მივულოცეთ.
- 19 ოქტომბერი გამწვანების აქცია სოფელ აწყურში, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სასკოლო პროექტის „ ჩემთვის, შენთვის, მისთვის" ფარგლებში, სკოლის ეზოში ვერცხლისფერი ნაძვის ხეები დარგეს
- 23 ოქტომბერი ახალციხის ციხეზე „პურის ფესტივალი" გაიმართა, ფესტივალის ფარგლებში დღეს სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი აქტივობები ჩატარდა;

- 26 ოქტომბერს თამარაშვილის ქუჩაზე მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა
- 28 ოქტომბერს, ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ, ბექა ჯაყელის სახელობის სკვერში მოსახლეობასთან გაიმართა შეხვედრა

შევსების თარიღი -28 .10 .2022 წ.

წარდგენის თარიღი 28. 10.2022 წ.

ხელის მოწერა----------